



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



N 47  
 27/04/2018

47-07-4-201804271506



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 განკარგულება №47  
 2018 წლის 27 აპრილი  
 ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N91 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 მარტის №15 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 23-ე მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N91 განკარგულებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“

ბ) 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობა შემდეგნაირად:

- 1) ვერიკო კვიციანი - კომისიის თავმჯდომარე;
- 2) კახა ბოლქვაძე - კომისიის წევრი;
- 3) გოდერძი ქურიძე - კომისიის წევრი;
- 4) კახაბერ ასკურავა - კომისიის წევრი“.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ზენიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო